ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. 20 ოქტომბერი № 5 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

14. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანქციის გარეშე ხე-ტყის ახალი სახერხი ქარხნების მოწყობის აკრძალვის შესახებ.

15. სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულებების მიერ გამოცემულ ცირკულარების, ინსტრუქციების და სახელმძღვანელო ხასიათის ბრძანებების რესპუბლიკის პროკურორისათვის წარდგენის შესახებ.

16. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ჯიშის მერქნის ნედლეული რესურსების შენარჩუნების და სწორი ექსპლოატაციის ღონისძიებათა შესახებ.

17. ქალაქებში, საკურორტო, სააგარაკო და მუშათა დაბებში სახლების და სხვა შენობათა, მიწების და კომუნალურ ნაგებობათა და ტექნიკური აღრიცხვის ვადებისა და აღრიცხვის საჭიროებისათვის მიზნობრივი გამოსაღების საზღვრითი განაკვეთების დაწესების შესახებ.

18. სახელმწიფო ფონდის ტყეებში სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისა და სატყეო პუნქტების მუდმივი მუშა-მოსამსახურეებისათვის სათიბების გამოყოფის შესახებ.

19. 1938 წლის მოსავლის თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

20. 1938 წლის მოსავლიდან კოლმეურნეობებში საკვები ბალახების სათესლე ფონდების ჩაყრის გეგმის შესახებ.

21. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

ტიპიური დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა შესახებ.

22. საქართველოს სსრ-ში მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

23. საქართველოს სსრ ძნელადმისასვლელ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილ ებანი

24.11

14. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანქციის გარეშე ხე-ტყის ახალი სახერხი ქარხნების მოწყობის აკრძალვის შესახებ.

იმის გამო, რომ უკანასკნელ დროს საქართველოს სსრ რაიონებში ადგილი აქვს ფარგლური ხერხებით მოწყობილი ხე-ტყის სახერხი ქარხნების თვითნებურად და დაუსაბუთებლად მოწყობას, რომლებიც ნედლეულის ბაზის უქონლობის გამო ან დიდის შეფერხებით და დაუტვირთველად მუშაობენ, ანდა მოცდენილნი არიან,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და არტელებს ყოველგვარი ხე-ტყის სახერხი მოწყობილობის დადგმა, თუ ასეთი სათანადოდ არ იქნა გაფორმებული და შეთანხმებული საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან.

2. დაევალოს ყველა ორგანიზაციას, რომლებსაც აქვთ ხე-ტყის სახერხი და ხის-დამმუშავებელი დანადგარები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—ერთი თვის ვადაში მოახდინონ მათი რეგისტრაცია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში.

3. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს მეორე მუხლში დასახელებულ დანადგარების რეგისტრაციის გატარება და 1938 წ. 15 სექტემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი მოსაზრებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია მათი შემდეგში არსებობა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. ივლისის 31. № 1277.
თბილისი.

034 ეროვნული
ბ 53 ბიბლიოთეკა
ბ 82

15. სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულების მიერ გამოცემულ ცირკულარების, ინსტრუქციების და სახელმძღვანელო ხასიათის ბრძანებების რესპუბლიკის პროკურორისათვის წარდგენის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, თავის დროზე გაუგზავნონ საქართველოს სსრ პროკურორს ყველა ის ცირკულარები, ინსტრუქციები და სახელმძღვანელო ხასიათის ბრძანებანი, რომლებსაც ისინი გამოსცემენ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. ივლისის 31. № 1287.
თბილისი.

45.02

16. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ჯიშის მერქნის ნედლეული რესურსების შენარჩუნებისა და სწორი ექსპლოატაციის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ჯიშის მერქნის ნედლეული რესურსების შენარჩუნებისა და რაციონალური ექსპლოატაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ჯიშის მერქნის დამზადება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნებართვის გარეშე.

ძვირფასი ჯიშის მერქნის დამზადებაზე დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოები, ხოლო საკურორტო ტყეებში—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველო, აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთა საკურორტო სამმართველოები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველო.

შენიშვნა: ძვირფასი ჯიშის მერქნის დამზადება კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სარგებლობაში არსებულ საკარმიდამო ნაკვეთებზე ნებადართულია მხოლოდ მათი სამეურნეო საჭიროებისათვის, ამასთან სავალდებულოა წინასწარი ნებართვის მიღება სათანადო სატყეო მეურნეობისა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ძვირფას ჯიშებს რომელთა მერქნის თავისუფალი დამზადება ამ დადგენილებით აკრძალულია მიეკუთვნება: ბზა, ურთხელი, ძელქვა, ბერძნული თხილი, კავკასიური ოდაღაჯი, მთის ბოყვი, სარეზონანსო ნაძვი, წაბლი, ხურმა, მსხალი, დათვის თხილი, ყოველგვარი სახის ნეკერჩხალი, ჭადარი და ჯაგრცხილა.

3. ძვირფასი ჯიშის მერქნის დამზადება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც დაშვებული არიან დამზადებაზე, თანახმად ამ დადგენილების 1 მუხლისა, სწარმოებს წლიური დასამზადებელი გეგმის მოცულობით, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი (საკურორტო ტყეების მიმართ—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მთავარ საკურორტო სამმართველოსთან, აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი საკურორტო სამმართველობეთან, და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების საკურორტო სამმართველოსთან ერთად—კუთვნილებისამებრ), ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას: ა) ნედლეულის შესაძლებლობანი და ბ) იმ საწარმოო წამოწყებების მოთხოვნილებანი, რომლებიც ძვირფასი ჯიშის მერქნის დამუშავებას ეწევიან.

აღნიშნულ წლიურ გეგმას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. ამ დადგენილების წესით დამზადებული ძვირფასი ჯიშის მერქანს ანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საწარმოო წამოწყებებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ამ მერქნის გადამუშავებას ეწევიან, ამასთან პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნებიან სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოები.

5. აიკრძალოს ძვირფასი ჯიშის მერქნის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებიდან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათანადო ნებართვის გარეშე.

6. ძვირფასი ჯიშის მერქნის თვითნებურად მოჭრისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის უნებართვოდ მისი ყიდვისათვის დამნაშავე პირები მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

7. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და დაევალოს მას გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „ძვირფასი ჯიშის მერქნის დაცვის ღონისძიებათა და მისი დამზადების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 21 მუხ. 238) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წლის 7 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ჯიშის მერქნის ნედლეული რესურსების შენარჩუნებისა და სწორი ექსპლოატაციის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 8 მუხ. 52).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. აგვისტოს 19. № 1411.
თბილისი.

614

17. ქალაქებში, საკურორტო, სააგარაკო და მუშათა დაბებში სახლების და სხვა შენობათა, მიწების და კომუნალურ ნაგებობათა ტექნიკური აღრიცხვის ვადებისა და აღრიცხვის საჭიროებისათვის მიზნობრივი გამოსაღების საზღვრითი განაკვეთების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ ქალაქ-ადგილებში და მუშათა საკურორტო და სააგარაკო დაბებში მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის შესახებ“ დებულების მე-18 მუხლის (საქ. სსრ კან. კრებ. 1936 წ. № 4 მუხ. 25) შესაცვლელად წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაამთავროს სახლების და სხვა შენობათა, მიწების და კომუნალურ ნაგებობათა ტექნიკური აღრიცხვა ქალაქებში, საკურორტო, სააგარაკო და მუშათა დაბებში არა უგვიანეს 1941 წ. 1 იანვრისა.

2. დამტკიცდეს მიზნობრივი გამოსაღების შემდეგი საზღვრითი განაკვეთები რაც გადახდება ქალაქებში, საკურორტო სააგარაკო და მუშათა დაბებში სახლებსა და სხვა შენობათა მიწებსა და კომუნალურ ნაგებობათა მფლობელებს და მოსარგებლეებს აღნიშნული ქონების ტექნიკურ აღრიცხვის საჭიროებას.

ა) სახლმფლობელობათათვის გამოსაღებ-გადასახდელი საანგარიშო ფართობით 200 მეტრამდე—32 კ.;

ბ) სახლმფლობელობათათვის გამოსაღებ-გადასახდელი საანგარიშო ფართობით 20-დან 500 მეტრამდე—27 კ.;

გ) სახლთმფლობელობათათვის გამოსაღებ-გადასახდელი საანგარიშო ფართობით 50-დან-1000 მეტრამდე—22 კ.;

დ) სახლმფლობელობათათვის გამოსაღებ-გადასახდელი საანგარიშო ფართობით—1000 მეტრს ზევით— 20 კ.;

სახლმფლობელობაში მყოფ მიწებისა და შენობების ფართობის თვითეულ საანგარიშო მეტრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ერთ გამოსაღებ-გადასახდელ საანგარიშო მეტრად მიღებულია: საცხოვრებელ, სავაჭრო, დაწესებულებათა და სხვ. ძირითად შენობების (გარდა სამომსახურო ადგილებისა) გარეგანი ფართობის თვითეული ერთი კვ. მეტრი, საანგარიშსწორებო კოეფიციენტი—1,0. საეზოვო ნაგებობათა და სამომსახურო ადგილების გარეგანი ფართობის თვითეული 2,5 კვ. მეტრი, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის თვითეული 14,3 კვ. მეტრი საანგარიშსწორებო კოეფიციენტი—0,07.

3. მშრომელთა დეპუტატების ქალაქის (დაბის) საბჭოებს უფლება ეძლევათ დააწესონ განაკვეთების დიფერენციაცია გამოსაღების გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით ისე, რომ საზღვრითი განაკვეთები არ აღემატებოდნენ ამ დადგენილებაში მოხსენებულ ტარიფებს 15-ზე მეტი პროცენტით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს „საქართველოს სსრ ქალაქ ადგილებში და მუშათა საკუროორტო-საანგარაკო დაბებში მიწების, შემოწმებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის შესახებ“ დებულებაში (საქ. სსრ კან. კრებ. 1936 წ. № 4. მუხ. 25) ამა დადგენილების საფუძველზე შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. აგვისტოს 19. № 1424.
თბილისი.

325
341.2

18. სახელმწიფო ფონდის ტყეებში სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და სატყეო პუნქტების მუდმივი მუშა-მოსამსახურეებისათვის სათიბების გამოყოფის შესახებ.

1. შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 5 ივლისის № 812 დადგენილებისა „სახელმწიფო ფონდის ტყეებში სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისა და სატყეო პუნქტების მუდმივი მუშა-მოსამსახურეებისათვის სათიბების გამოყოფის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ სათიბების გამოყოფა სახელმწიფო ფონდის ტყეებში სატყეო-სამრეწველო მეურნეობების და სატყეო პუნქტების მუშათა და მოსამსახურეთა კუთვნილი პირუტყვის დასაკმაყოფილებლად საკვებით და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელთა საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტისათვის, ამასთან მიამაგრონ გამოყოფილი სათიბები ამ ორგანიზაციებს ხუთი წლის ვადით.

2. რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტმა სატყეო-სამრეწველო მეურნეობებთან და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ერთი დეკადის ვადაში გამოარკვიონ, თუ რა რაოდენობის სათიბი ნაკვეთებია საჭირო 1 მუხლში აღნიშნული მიზნებისათვის, დააზუსტონ გამოსაყოფი ფართობების ოდენობა და გააფორმონ გამოყოფა ა/წ. 1 ოქტომბრამდე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემდგომი დამტკიცებით.

3. სათიბების გამოყოფა მოხდეს დანარჩენ მოსარგებლეთა თანაბრად მიწის თავისუფალი ფონდების ხარჯზე ისე, რომ არ შეეხონ იმ სათიბებს, რომლებიც გადაცემულია კოლმეურნეობებისათვის სახელმწიფო აქტებით სამუდამოდ, აგრეთვე ვადიანი ხელშეკრულებებით.

4. მუდმივ მუშებსა და მოსამსახურეებს სათიბები მიეცეთ მათი მუშაობის დროის განმავლობაში სარგებლობისათვის, ხოლო ამ სამუშაოდან მათი წასვლის შემთხვევებში გამოყოფილი სათიბები გადაეცეს სახელმწიფო ფონდში.

5. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მოახსენოს სახალხო კომისართა საბჭოს ამ დადგენილების შესრულება. 1938 წ. 5 ნოემბერს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. აგვისტოს 19. № 1425.
თბილისი.

---

19. 1938 წლის მოსავლის თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს როგორც დაჭრილი, ისე ფურცლოვანი თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე, ვიდრე შესრულდებოდეს 1938 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო გამოიტანდეს სპეციალურ დადგენილებას კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის თამბაქოთი ვაჭრობის ნებადართვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 20 მაისის დადგენილება თამბაქოს თავისუფლად გაყიდვის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 15. მუხ. 74).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. აგვისტოს 20. № 1442.
თბილისი.

---

20. 1938 წლის მოსავლიდან კოლმეურნეობებში საკვები ბალახების სათესლე ფონდების ჩაყრის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1938 წლის მოსავლიდან კოლმეურნეობებში საკვები ბალახების სათესლე ფონდების ჩაყრის გეგმა დამტკიცდეს 41.906 ცენტნერის რაოდენობით, აქედან საშემოდგომო ფიგი—5285, საგაზაფხულო ფიგი—11302, ბარდა—19 71, უგრეხელი—2396, ქვრიმა—176, სუდანის ბალახი—94, სერადელა—14, იონჯა—346, ესპარცეტა—2362 და სამყურა—60 ცენტნერი.

საკვები ბალახების თესლის ჩაყრის გეგმის განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკების ოლქის და რაიონების მიხედვით დამტკიცდეს თანახმად დანართისა.

2. დაწესდეს, რომ მარცვლეულ-ცერცვოვან ბალახების (ფიგი, ბარდა და უგრეხელი) მოსავლიდან პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამა დადგენილების პირველი მუხლით მიღებული გეგმა სათესლე საფონდო ბალახების ჩაყრისა და მხოლოდ ამ გეგმის შესრულების შემდეგ იქნეს დაშვებული მარცვლეულ-ცერცვოვან ბალახების საკვებად გამოყენება.

3. საკვები ბალახების სათესლე ფონდების ჩაყრის დამთავრების ვადად დაწესდეს საშემოდგომო ფიგზე და ესპარცეტზე—1938 წ. 15 სექტემბერი ხოლო ყველა დანარჩენ ბალახზე 1938 წ. 15 ოქტომბერი.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს მთლიანად უზრუნველჰყონ საკვები ბალახების სათესლე ფონდების ჩაყრის გეგმის შესრულება დაწესებულ ვადაზე, მოაწყონ მათი გაწმენდა და წესიერი შენახვა და ამასთან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან სხვა რაიმე მიზნით თუ არა სათესლედ დახარჯვა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. აგვისტოს 22. № 1452.
თბილისი.

ცხრილი 20

ივანართი.

1938 წლის მოსავლიდან კოლმეურნეობებში საკვები ბალახების სათესლე ფოთლების ჩაყრის გეგმა

(ცენტნერობით)

რაიონები	ერთწლოვანი								მრავალწლოვანი				სულ ერთ-წლიანი მრავალწ-ლიანი
	საშუ-ალოდგო-მო ფიგი	საგაზაფ-ხულო ფიგი	ბარდა	ულუფხე-ლი	ქერიმა	სოდანი ბალახი	სერადე-ლა	სულ	იონჯა	ესპარცე-ტი	სამყურა	სულ	
ახალქალაქის	2500	4500	12640	—	—	—	—	19640	—	693	—	693	20333
ბოგდანოვკის	1050	4075	3500	40	—	—	—	8665	—	144	—	144	8809
ახალციხის	225	228	300	200	—	—	—	953	—	151	—	151	1104
ადიგენის	120	80	88	—	—	—	—	288	—	88	—	88	376
ასპინძის	100	188	88	113	—	—	—	489	—	39	—	39	528
ხაშურის	255	75	—	600	—	—	—	930	—	350	—	350	1280
გორის	270	50	—	800	—	—	—	1120	—	294	—	294	1414
კასპის	63	20	—	250	—	—	—	333	—	23	—	23	356
ბორჯომის	—	220	45	60	—	—	—	325	—	21	2	23	348
გურჯაანის	12	11	—	—	—	5	—	28	10	—	—	10	38
სიღნაღის	120	300	—	—	38	13	—	471	15	—	—	15	486
ცელავის	20	50	—	—	8	—	3	81	48	—	—	57	138
ყვარლის	—	—	—	—	2	—	5	7	23	—	—	23	30
ლაგოდეხის	—	—	—	—	3	—	3	6	15	—	3	18	24
თბილისის	—	75	—	20	75	38	—	203	—	—	—	—	208

რაიონები	ერთწლოვანი								მრავალწლოვანი				სულ ერთ-ერთ ფლიანი ფლავებულ ფლანგ
	საშუ-ალოდგო-ალი ფიგი	საგაზაფ-ხულო ფიგი	ბარდა	უგრეხე-ლი	ქვრიმა	სუდანის ბალბანი	სერადე-ლა	სულ	იონჯა	ესპარცე-ტი	სამყურა	სულ	
ყარაიას	—	—	—	—	—	—	—	—	81	—	—	81	81
ბორჩალოს	—	45	25	—	—	—	—	70	76	—	—	75	146
ლუქსემბურგის	—	80	10	—	—	—	—	90	48	—	—	48	138
წალკის	300	—	2920	—	—	—	—	3220	—	131	15	146	3366
დუშეთის	—	50	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	50
ალბულაღის	200	300	75	125	—	—	—	700	—	—	3	3	703
საგარეჯოს	50	30	5	—	50	38	—	173	30	45	—	75	248
ბაშკიჩეთის	—	300	—	—	—	—	—	300	—	36	12	48	348
თიანეთის	—	50	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	50
სამხრეთ ოს. ავტ. ოლქი	—	375	175	188	—	—	—	738	—	338	5	343	1081
ონის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	2
აფხაზეთის ასსრ	—	200	—	—	—	—	—	200	—	—	10	10	210
აჭარის ასსრ	—	—	—	—	—	—	3	3	—	—	8	8	11
სულ რესპუბლიკაში . . .	5285	11302	19871	2396	176	94	14	39138	346	2362	60	2768	41906

ეროვნული ბიბლიოთეკა
043.1
512.11

21. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას ტიპიური დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. სექტემბრის 10. № 1580.
თბილისი.

ტიპიური დებულება

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა შესახებ.

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი ეწყობა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 102 მუხლის საფუძველზე.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებებს ეკისრებათ:

ა) მშენებლობა, რემონტი და შენახვა ადგილობრივი მშენებლობის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა, აგრეთვე ხელოვნური ნაგებობებისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სიით;

ბ) გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოთა ორგანიზაცია სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი თავის საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონულ საბჭოებს, ისე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსაც, რომლის ადგილობრივ ორგანოებსაც ისინი წარმოადგენენ.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა გამგეობაში შედის:

ა) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილებათა და განკარგულებათა განხორციელება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი შესრულებისათვის კონტროლის გაწევა რაიონის ტერიტორიაზე, რომლებიც საგზაო მეურნეობას აწესრიგებენ;

ბ) შემუშავება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სავალდებულო დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებისა საგზაო მეურნეობის ხაზით და მათი შეთანხმება სათანადო შემთხვევებში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავრ საგზაო სამმართველოსთან;

გ) ადგილობრივი მრეწველობის გზების მიხედვით საგზაო მშენებლობის პერსპექტიული და საწარმოო გეგმების შედგენა და მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსა და მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოსათვის კუთვნილებისამებრ;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების შემუშავება და შედგენა, აგრეთვე მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსათვის;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიის შედგენა;

ვ) გზების კლასიფიკაციის მასალების შეგროვება და მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსათვის;

ზ) სასოფლო-საბჭოების საგზაო მშენებლობის ხელმძღვანელობა;

თ) საგზაო მეურნეობის ტექნიკური და საფინანსო ანგარიშგების წარმოება იმ ფორმების მიხედვით და იმ ვადებში, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმრთველო დააწესებს, და მათი წარდგენა მთავარ საგზაო სამმართველოსათვის.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი როგორც გზებისა და ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობის, ისე მათი რემონტის სამუშაოებს აწარმოებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მიერ სათანადო წესით დამტკიცებული საერთო სამშენებლო-საფინანსო გეგმის თანახმად.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი გზატკეცილებსა და ყამირგზებს ძირითადად ინახავენ სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, უმთავრესად კოლმეურნეობებში მუდმივი საგზაო ბრიგადების მოწყობის საშუალებით.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი აწარმოებენ შრომის რესურსების ზუსტ აღრიცხვას, ამ რესურსების შესაბამისად გეგმავენ საგზაო სამუშაოებს და უშუალოდ ხელმძღვანელობენ ასეთებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე, აგრეთვე ატარებენ სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ორგანიზაციას რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი ყველა მათდამი დაქვემდებარებულ გზებსა და ხელოვნურ ნაგებობებს უზრუნველჰყოფენ სათანადო ტექნიკური დოკუმენტებით.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსთან შეთანხმებით ძირეული საგზაო მუშაკებისათვის აწყობენ მოკლევადიან კურსებს სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმებითა და პროგრამებით და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საგზაო განყოფილების გამგეს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და ბუხჰალტრებს დანიშნავს და დაითხოვს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო, რაც აუცილებლად უნდა იქნას შეთანხმებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსთან.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საგზაო განყოფილების გამგეს უნდა ჰქონდეს სათანადო ტექნიკური განათლება. საგზაო განყოფილების ინჟინერი საგზაო განყოფილების გამგის მოადგილეა ტექნიკურ ნაწილში და გამგის არყოფნის დროს მთლიანად შესცვლის მას.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს საგზაო განყოფილების გამგის წარდგენით უფლება აქვთ მიიღონ და დაითხოვონ საგზაო განყოფილების ყველა თანამშრომელი, გარდა ამ დებულების მე-10 მუხლში აღნიშნული პირებისა.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საგზაო განყოფილების გამგე, როგორც გეგმის შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი, განაგებს კრედიტების ასიგნობებს ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, დადგენილი წესების დაცვით.

13. იმ პირთაგან შემოსულ სახსრებს, რომლებიც თავს არიდებენ საგზაო მშენებლობაში შრომითს მონაწილეობას, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საგზაო განყოფილების გამგე ხარჯავს მხოლოდ საგზაო მშენებლობაზე იმ განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვებით, რომლებსაც საგზაო განყოფილება დასამტკიცებლად ურდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს.

14. რაიონული საგზაო განყოფილებების ყველა მექანიზმებსა და ავტოტრანსპორტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო იყენებს რაიონებში საჭიროებისა და ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, დამუკიდებლად იმისა ეკუთვნიან თუ არა ისინი სათანადო რაიონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საგზაო განყოფილებათა დაფინანსება სხარმოებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისამებრ.

121.31

22. საქართველოს სსრ-ში მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიუხედავად, აღწერისათვის მზადება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

1938 წლის 7 სექტემბრისათვის 59 რაიონში, რომლებმაც წარმოადგინეს ცნობები აღწერის კადრების შერჩევისა და დამტკიცების შესახებ, აღმრიცხველთა საჭირო რაოდენობიდან (7523) შერჩეულია 4648 და დამტკიცებულია 2067, ე. ი. 27,5%; საჭიროა 1827 ინსტრუქტორი, შერჩეულია 1226, დამტკიცებულია 664, ე. ი. 36,4%; საჭიროა აღწერის განყოფილებათა 194 გამგე შერჩეულია 189 აღწერის განყოფილებათა გამგეების 195 თანაშემწე, შერჩეულია 179; საჭიროა სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონული ინსპექტორების 62 თანაშემწე, შერჩეულია 55.

ასპინძის, გურჯაანის, ყაზბეგის და ყარაიას რაიონებს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ აღწერის კადრების დასამტკიცებლად. მთელ რიგ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში 1939 წ. მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 4, მუხ. 17).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველომ ვერ უზრუნველჰყო სათანადო კონტროლისა და დახმარების გაწევა რაიონებისადმი მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის სანიმუშოდ მზადების საქმეში.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადების საქმეში გადამწყვეტი გარდატეხის შექმნის მიზნით, და შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 ივლისის დადგენილებისა „მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 35, მუხ. 211), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს არაუგვიანეს 1938 წლის 14 სექტემბრისა წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და რაიონულ ინსპექტორთა თანაშემწეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქალაქებსა და სასოფლო იდგილებში აღწერის განყოფილებათა გამგეების პერსონალური სია.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1938 წლის 15 სექტემბრამდე დაამტკიცონ, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სათანადო სამმართველოების წარდგენით, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და რაიონულ ინსპექტორთა თანაშემწეები და ქალაქებსა და სასოფლო ადგილებში აღწერის განყოფილებათა გამგეები.

3. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ შეუდგნენ, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონული (საქალაქო) ინსპექტორის წარდგენით, აღწერის განყოფილებაოა გამგეების, თანაშემწეების, ინსპექტორ-კონტროლიორებისა და აღმრიცხველების დამტკიცებას, რაც დაამთავრონ არაუგვიანეს 1938 წლის 1 ოქტომბრისა; ამასთან არ დაუშვან მათი ხელაღებით დამტკიცება ისე, თუ წინასწარ გამოძახებული და პერსონალურად შემოწმებული არ იქნა თვითეული ის პირი, რომელიც აღწერის ხაზით იმუშავებს.

4. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სარაიონო და საქალაქო ინსპექტორთა თანაშემწეების, აღწერის განყოფილებათა გამგეებისა და მათი თანაშემწეების, ინსტრუქტორ-კონტროლიორთა და აღმრიცხველთა კადრების დასაკომპლექტებლად, წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანოებთან ერთად, მოიწვიონ დამატებითი ხელფასის მიცემის პირობით (გარდა იმ ხელფასისა, რომელიც მათ მუშაობის ადგილზე შეენახება) სკოლების, საბჭოთა დაწესებულებებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების კოლმეურნეობების აღრიცხვა-ანგარიშის დარგის და კონტორის მუშაკთა პერსონალი და ა. შ.

5. საავადმყოფოებსა და კლინიკებში მოთავსებული ავადმყოფების, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მყოფი დამსვენებლების, დედათა და ბავშვთა სახლებში, საბავშო სახლებში მყოფი ბავშვების, ინვალიდთა სახლებში მოთავსებული პირების აღწერა დაეკისროს სათანადო დაწესებულებათა ადმინისტრაციას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციის მიხედვით.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და მთავარ საკურორტო სამმართველოს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი მთვარის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირებს და სხვა უწყებრივ ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციებს, რომლებსაც თავის გამგებლობაში აქვთ აღნიშნული ტიპის დაწესებულებანი:

ა) 1938 წლის 20 ოქტომბრამდე მიაწოდონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და რაიონულ ინსპექტორებს ამ დაწესებულებათა ამომწურავი სიები თვითეული დაწესებულების ადგილსამყოფელის ზუსტი მისამართის აღნიშვნით;

ბ) მოახდინონ განკარგულება, რათა თვითეულ დაწესებულებაში გამოიყოს მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირი, რომლის გვარი უნდა ეცნობოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და რაიონულ ინსპექტორებს არაუგვიანეს 1938 წ. 5 ნოემბრისა;

გ) მსხვილ დაწესებულებებში იმ პირთა დანიშვნის გარდა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან დაწესებულებაში აღწერის ჩატარებისათვის, დაავალონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გამოჰყონ დაწესებულების პერსონალის შემადგენლობიდან საკმაო რაოდენობის პირები (აღმრიცხველები) აღწერის ჩასატარებლად შემდეგი ანგარიშით: 1 კაცი 150 კაცზე და მათი გვარები აცნობონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და რაიონულ ინპექტორებს იმისათვის, რათა წარდგენილ იქნან ისინი საქალაქო საბჭოს ან რაიონულ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დასამტკიცებლად რაუგვიანეს 1938 წლის 1 ოქტომბრისა.

6. იმის გამო, რომ ზოგიერთ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქალაქო საბჭოებს დღემდეც არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში 1939 წ. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 4, მუხ. 17), დაევალოს:

ა) გორის, ზესტაფონის, ბორჯომის, ადიგენის, ცაგერის და თბილისის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს—1938 წლის 20 სექტემბრამდე დაამთავრონ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახელებული ადგილების სქემატიური გეგმების შედგენა და აღინიშნოს ამ გეგმებზე ყველა სახლთმფლობელობა;

ბ) ლუქსემბურგის, ლაგოდეხის, ბორჩალოს, ხაშურის, აღბულახის, გურჯაანის, დუშეთის, ონის, მახარაძის, თელავის და ჭიათურის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს—1938 წლის 15 სექტემბრისათვის უზრუნველჰყონ სახლთმფლობელობათა აღნიშვნა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახელებული ადგილების არსებულ სქემატიურ გეგმებზე;

გ) რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქალაქო საბჭოებმა 1938 წლის 1 ოქტომბრისათვის დაამთავრონ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახელებულ ადგილებში ყველა ქუჩის, შესახვევის, ჩიხისა და მოედნის წესრიგში მოყვანა, აგრეთვე ყველა სახლთმფლობელობის ნუმერაცია; იმავე ვადაში დაამთავრონ სახლის წიგნების წესრიგში მოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს უზრუნველჰყონ აღრიცხვის პერსონალი მოსამზადებელი სამუშაოებისა და აღწერის წარმოების დროისათვის სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე დაუთმონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონულ (საქალაქო) ინსპექტორებს ცალკე სადგომები საჭირო ინვენტარით.

1938 წლის 1 ნოემბრიდან 1939 წლის 15 თებერვლამდე პერიოდისათვის უზრუნველჰყონ აღწერის განყოფილებანი სამუშაოდ მოწყობილი სადგომებით, სატელეფონო კავშირით, გათბობითა და განათებით.

8. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგამბულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში უზრუნველჰყოს, რათა კავშირგამბულობამ შეუფერხებლად და პირველ რიგში გაუწიოს მომსახურეობა სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანოებს აღწერის საკითხებში.

9. გაფრთხილება მიეცეს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და ყველა საქალაქო საბჭოსა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს, რომ ისინი პერსონალურად პასუხს აგებენ მოსახლეობის აღწერის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის.

დაევალოს საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს თავის ყოველდღიურ კონტროლქვეშ მოაქციონ მოსახლეობის აღწერისათვის მზადების მთელი მუშაობა და, კერძოდ, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და რაიონულ ინპექტორთა მუშაობა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსს ამხ. მამალაძეს სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიოს მოსახლეობის აღრიცხვისათვის მზადების მიმდინარეობას და ამა დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყოველ სხდომაზე მოსმენილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსის ინფორმაცია მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. სექტემბრის 10. № 1622.
თბილისი.

121.31

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. საქართველოს სსრ ძნელადმისასვლელ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 23 აგვისტოს № 929 დადგენილებისა „ძნელადმისასვლელ რაიონებსა, სასოფლო საბჭოებსა და დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარდეს ამა დადგენილებით დაწესებულ პირობებში მოსახლეობის აღწერა საქართველოს სსრ ძნელადმისასვლელ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში, თანახმად თანდართული სიისა.

2. მოსახლეობის აღწერა მთაგორიან თუშეთში, ხევსურეთში და აფხაზეთის ასსრ-ში პსხუს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ჩატარდეს 20 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე, დანარჩენ ძნელადმისასვლელ ადგილებში—1938 წლის 1-დან 10 დეკემბრამდე.

3. ძნელადმისასვლელ ადგილებში მოსახლეობის აღწერის ჩატარებისას მოსახლეობის აღრიცხვა მოხდეს გამოკითხვის დღისათვის და აღწერის დამთავრების შემდეგ მოსახლეობის აღრიცხვის შემოწმება აღარ ჩატარდეს.

4. დაევალოს ძნელადმისასვლელი რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოჰყონ საჭირო შემთხვევებში გამყოლები იმ მუშაკთა დასახმარებლად, რომლებიც აღწერას აწარმოებენ.

5. დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე იმ საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს რომლებიც ძნელადმისასვლელ ადგილებში მდებარეობენ, უზრუნველჰყონ აღწერის მუშაკები საჭირო სატრანსპორტო საშუალებებით და შესაძლებლობა მისცენ მათ პირველ რიგში ისარგებლონ კავშირგაბმულობის ყველა არსებული საშუალებით.

6. პასუხისმგებლობა ძნელადმისასვლელ ადგილებში აღწერის ჩატარებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს არაუგვიანეს 1938 წლის 20 სექტემბრისა უზრუნველჰყოს აღწერის კადრების შერჩევა და დამტკიცება იმ ძნელადმისასვლელ ადგილებში, სადაც აღწერა იწარმოებს ამა წლის ოქტომბერში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **მ. ნანეიშვილი.**

1938 წ. სექტემბრის 10. № 1623.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

საქართველოს სსრ ძნელადმისასვლელი ადგილებისა.

რაიონის დასახელება	სასოფლო საბჭოს დასახელება	აღწერის ჩატარების ვადა
1. თელავის	1. დარტლოის	ოქტომბერი
	2. ომალოის	"
2. დუშეთის	1. ბარისახოს	ოქტომბერი
	2. ბაცალიგოს	"
	3. შატილის	"
	4. არხოტის	"
3. სოხუმის	1. პსხუს	ოქტომბერი
4. ყაზბეგის	1. გუდაუთის	დეკემბერი
	2. ახალციხის	"
	3. ტრუსოს	"
5. ჯავის (სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი)	ყ ვ ე ლ ა	დეკემბერი
6. ხულოს (აჭარას ასსრ) . . .	ყ ვ ე ლ ა	დეკემბერი
7. ზემო-სვანეთის	ყ ვ ე ლ ა	დეკემბერი
8. ქვემო-სვანეთის	ყ ვ ე ლ ა	დეკემბერი
9. ლენინგორის (სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი)	1. ყორჩოხის	დეკემბერი
	2. კორინეტის	"
	3. ძიმირის	"
	4. მონასტრის	"
	5. საფერშეტის	"
	6. ჩურთის	"
10. სტალინირის (სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი)	1. ბელოტის	დეკემბერი
	2. ბიკარის	"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა.
მთავლიტი № ა-4946. შეკვ. № 1545. ტირაჟი 2000.